საბაზო საფეხური

გაკვეთილი #2: ბაზარი და ფასი - ნაწილი 1

40 წთ

ამ გაკვეთილზე მოსწავლეები ეცნობიან ბაზრის ძირითად კონცეფციებს

გაკვეთილის მიზნები

- მოსწავლეები განასხვავებენ საქონელსა და მომსახურებას;
- მოსწავლეები იაზრებენ ბაზრის ძირითად კონცეფციებს - მომხმარებელი, მიმწოდებელი, მოთხოვნა და მიწოდება, ბაზარი, ფასი;

ტერმინები

საქონელი, მომსახურება, მომხმარებელი, მიმწოდებელი, მოთხოვნა, მიწოდება, ბაზარი, ფასი

საჭირო მასალები

- 1 ფლიპჩარტის ფურცელი
- მარკერი
- ქაღალდის წებოვანი ლენტი ან ორმაგი წებოვანი ლენტი
- ბურთი
- დანართი - საქონლისა და მომსახურების ბარათები
- დანართი - ეკონომიკური ტერმინების ბარათები
- დანართი - საშინაო დავალება #1 - თითოეული მოსწავლისთვის

მომზადება

- ამობეჭდეთ და გამოჭერით საქონლისა და მომსახურების ბარათები დანართიდან.
- ფლიპჩარტის ფურცლის ზედა მხარეს დააწერეთ საქონელი, ქვედა ნაწილს - მომსახურება. ორივეგან დატოვეთ სივრცე ბარათებისთვის. მიაკარით ცარიელ სივრცეებში ქაღალდის წებოვანი ლენტები (ან ორმაგი წებოვანი ლენტი) ისე, რომ მოსწავლეებმა ზედ ბარათების დაწებება შეძლონ.
- ამობეჭდეთ და გამოჭერით ეკონომიკური ტერმინების ბარათები დანართიდან
- ამობეჭდეთ საშინაო დავალების დანართი თითოეული მოსწავლისთვის

სასარგებლო რესურსები

- სახელმძღვანელო - „ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება სკოლებში“ VII კლ

დიფერენცირება

- გამოიყენეთ დანართი 2 -ის ადაპტირებული ვერსია სსსმ მოსწავლეებისთვის.

5 წთ

მასალა:

ბურთი

შესავალი - წინა გაკვეთილის გახსენება

- სთხოვეთ მოსწავლეებს, ერთმანეთს გადაუგდონ ბურთი. მან, ვინც დაიჭერს ბურთს, უნდა გაიხსენოს წინა გაკვეთილზე ნასწავლი 1 ტერმინი და ახსნას თავისი სიტყვებით. ამის მერე სხვა მოსწავლეს გადაუგდოს ბურთი და ა.შ.
- უთხარით მოსწავლეებს, რომ დღეს რამდენიმე ახალ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ტერმინს შეისწავლით.

10 წთ

მასალა:

დანართიდან გამოჭრილი საქონლისა და მომსახურების ბარათები;

მარკერი;

ფლიპჩარტის ფურცელი წარწერებით: „საქონელი“, „მომსახურება“ და ზედ დაკრული წებოვანი ლენტით ბარათების მისაკრავად.

სავარჯიშო - საქონლისა და მომსახურების კლასიფიკაცია

- შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ როგორ წინა გაკვეთილზე ვისწავლეთ, ჩვენ უამრავი მოთხოვნილება გვაქვს. ჩვენი მოთხოვნილებების - სურვილებისა და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად კი საქონელსა და მომსახურებას ვყიდულობთ. აუხსენით რას ნიშნავს თითოეული (იხ. დამატებითი ინფორმაცია). ახსნის პარალელურად, დაარიგეთ კლასში გამოჭრილი ბარათები (თითო მოსწავლეს თითო ბარათი).
- დასასრულს, სთხოვეთ მოსწავლეებს დაფიქრდნენ, მათ ბარათზე მოცემული სიტყვა საქონელია თუ მომსახურება და ფლიპჩარტზე შესაბამის ადგილას მიაკრან.

დამატებითი ინფორმაცია:

ადამიანებს უამრავი რამ გვჭირდება და გვსურს. ჩვენი ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კი, საქონელსა და მომსახურებას ვყიდულობთ.

საქონელი (პროდუქტი) ეს არის ყველა ის საგანი / ნივთი, რომელსაც ამზადებენ ან მოჰყავთ და, რომელსაც ვყიდულობთ, ანუ რომლის სანაცვლოდაც ფულს ვიხდით. საქონელია, მაგალითად, პიცა, ბოსტნეული, წიგნი, ტელეფონი და ველოსიპედი.

მომსახურება კი ეს არის სამუშაო, რომელსაც სხვა ადამიანები ჩვენთვის აკეთებენ და, რომლის სანაცვლოდაც ფულს ვიხდით. მაგალითად, თმის შეჭრა, სწავლება, მგზავრობა, სახლის გარემონტება და ა.შ.
ახალი წიგნის თარო - ეს საქონელია, ხოლო ხელოსნის მიერ ახალი წიგნის თაროს კედელზე დამონტაჟება - ეს მომსახურებაა. შოკოლადის ტორტი - ეს საქონელია, ხოლო მზარეულის მიერ ტორტის გამოცხობა - ეს მომსახურებაა. წამალი - ეს საქონელია, ხოლო ექიმის მიერ პაციენტის გასინჯვა და წამლის გამოწერა - ეს მომსახურებაა.

17 წთ

მასალა:

დანართიდან გამოჭრილი ეკონომიკური ტერმინების ბარათები

ჯგუფური სამუშაო - ძირითადი ეკონომიკური ტერმინები

- დაყავით მოსწავლეები 4 ჯგუფად (სურვილისამებრ, გადასანაწილებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ დანართში მოცემული ბარათები ასოებით). თითოეულ ჯგუფს დაურიგეთ თითო ბარათი. სთხოვეთ მოსწავლეებს, 3 წუთის განმავლობაში წაიკითხონ ბარათზე მოცემული ინფორმაცია. აუხსენით მოსწავლეებს, რომ თქვენ დასვამთ კითხვებს, რომლის პასუხებიც ბარათებზე წერია. კითხვის დასმისას ჯგუფები უნდა დაფიქრდნენ, შეესაბამება თუ არა მათი ბარათი კითხვას - თუ კი, შესაბამისი ჯგუფი უპასუხებს, რომელ ტერმინზეა საუბარი და წაიკითხავს განმარტებას ბარათიდან. კლასი ამ დროს უსმენს და იმახსოვრებს მიღებულ ინფორმაციას.

კითხვები:

1. ვინ ქმნის საქონელსა და მომსახურებას? ვინ მოიხმარს?

პასუხი (ინფორმაცია მოსწავლის ბარათიდან):

გუნდი C: მიმწოდებლები და მომხმარებლები

საქონელსა და მომსახურებას ჩვენთვის **მიმწოდებლები** ქმნიან. მაღაზიის გამყიდველი, დურგალი, ექიმი, მზარეული - ყველა მათგანი მიმწოდებელია. გამყიდველი გვაწვდის პროდუქტს, დურგალი გვიმზადებს ხის ავეჯს, ექიმი გვიწევს სამედიცინო დახმარებას, მზარეული აცხობს შოკოლადის ტორტს და ა.შ. ის ადამიანები კი, რომლებიც ამ საქონელს ან მომსახურებას ყიდულობენ, მომხმარებლები არიან. სიტყვა „მომხმარებელი“ მიგვითითებს თავის შინაარსზე - **მომხმარებელი** მოიხმარს სხვადასხვა ნივთსა თუ მომსახურებას - დადის ექიმთან, მგზავრობს ავტობუსით, ყიდულობს ტორტს და ა.შ. ყველა ჩვენგანი მომხმარებელია.

2. სად ხვდება ერთმანეთს მომხმარებელი და მიმწოდებელი?

პასუხი (ინფორმაცია მოსწავლის ბარათიდან):

გუნდი B: ბაზარი

სივრცეს, სადაც მომხმარებლები და მიმწოდებლები საქონელსა და მომსახურებას ცვლიან, **ბაზარი** ეწოდება. რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი, რომ ნამდვილ ბაზარში მივიდეთ იმისთვის, რომ შევიძინოთ ჩვენთვის სასურველი ნივთი ან მომსახურება. ტერმინი ბაზრის ქვეშ მოიაზრება ყველა ადგილი, სადაც ფულის ნაცვლად ნივთს ან მომსახურებას ვიღებთ - კაფე, აეროპორტი, სადგური, წიგნებისა თუ ელექტრონიკის მაღაზია, ინტერნეტმაღაზია, სადაც ონლაინ ვვაჭრობთ და ხილ-ბოსტნეულის ნამდვილი ბაზარიც!
მომხმარებლები და მიმწოდებლები კი ბაზრის მონაწილეები არიან.

3. რა განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების ფასს? რომელი ორი კომპონენტის ბალანსი?

პასუხი (ინფორმაცია მოსწავლის ბარათიდან)

გუნდი D: მოთხოვნა

მოთხოვნისა და **მიწოდების** ბალანსი განსაზღვრავს იმას, თუ რა ფასი ექნება ამა თუ იმ ნივთსა თუ მომსახურებას.

მოთხოვნა არის საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომლის შეძენაც სურთ და შეუძლიათ მომხმარებლებს. ბაზარზე მოთხოვნის რაოდენობას მომხმარებლები განსაზღვრავენ: როდესაც რაიმე საქონლის ან მომსახურების შეძენა ბევრ ადამიანს სურს, ვამბობთ, რომ მასზე მოთხოვნა მაღალია. მაგალითად, თუ ძალიან ბევრი ადამიანი სვამს ვაშლის წვენს, ხოლო ბანანის წვენს - ძალიან ცოტა, მაშინ ვიტყვით, რომ ვაშლის წვენზე მოთხოვნა მაღალია, ხოლო ბანანის წვენზე - დაბალი.
უკვე ვიცით რა არის მოთხოვნა, ახლა ვნახოთ, რა არის მიწოდება?

4. უკვე ვიცით რა არის მოთხოვნა, ახლა ვნახოთ, რა არის მიწოდება?

პასუხი (ინფორმაცია მოსწავლის ბარათიდან)

გუნდი A: მიწოდება

მიწოდება არის საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომელიც ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის, ანუ რომელსაც ამზადებენ და ყიდიან მიმწოდებლები. თუ რაიმე ნივთი ან მომსახურება დიდი რაოდენობით არის ხელმისაწვდომი, მაშინ ვამბობთ, რომ მიწოდება მაღალია.

ბაზარზე მიწოდების რაოდენობას მიმწოდებლები განსაზღვრავენ - მაგალითად, წვენების კომპანია თვითონ წყვეტს, თვეში 10,000 ბოთლი წვენი დაამზადოს თუ 8,000 (ანუ მიწოდება იყოს 10,000 თუ 8,000?). ამ გადაწყვეტილებას კომპანია მომხმარებელთა მოთხოვნის მიხედვით იღებს. მაგ, თუ მიმწოდებლებმა იციან, რომ უფრო მეტი ადამიანი სვამს ვაშლის წვენს, ვიდრე ფორთოხლის წვენს, ეს ნიშნავს რომ მოთხოვნა ვაშლის წვენზე მაღალია, ხოლო ფორთოხლის წვენზე - დაბალი. შესაბამისად, მიმწოდებლები უფრო მეტ ვაშლის წვენს დაამზადებენ თვეში, ვიდრე ფორთოხლის წვენს.

- სავარჯიშოს დასასრულს, უთხარით მოსწავლეებს, რომ იმას, თუ როგორ განსაზღვრავს მოთხოვნა და მიწოდება საქონლის ფასს, მომდევნო გაკვეთილზე გაიგებენ და ამის შესახებ სახალისო თამაშსაც ითამაშებენ.

5 წთ

შეჯამება

მასალა:

ბურთი

- სთხოვეთ მოსწავლეებს, ერთმანეთს გადაუგდონ ბურთი. მან, ვინც დაიჭერს ბურთს, უნდა დაასახელოს 1 ახალი რამ, რაც ამ გაკვეთილზე ისწავლა. ამის მერე სხვა მოსწავლეს გადაუგდოს ბურთი და ა.შ.

3 წთ

საშინაო დავალება

მასალა:

ამობეჭდილი საშინაო დავალების ფურცლები

- დაურიგეთ მოსწავლეებს საშინაო დავალების ფურცლები. უთხარით, რომ დავალების პირველი ნაწილის შესრულება სავალდებულოა, მეორე ნაწილი კი - სურვილის მიხედვით. დავალების პირველი ნაწილი დაგჭირდებათ შემდეგი გაკვეთილისთვის.
- მათი დავალებაა გამოიკითხონ 3 ადამიანი და მონაცემები ჩაწერონ ცხრილში. დაწვრილებით ინსტრუქციას კი ფურცელში ნახავენ.